საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/139

17 ---- ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სულხან მამულაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №22-20/11, 14.06.2022), **სულხან მამულაძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ 2017 წლის 14 სექტემბრის **№ 01-09/513** ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/49 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 17 ივნისის სამსახურებრივი ბარათის-MES 6 22 0000664579 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„არქეოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **სულხან მამულაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„რომაული გარნიზონები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათი მომარაგების საკითხები“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 27 ივნისს, 17:00 საათზე, №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N1, მე-2 სართული).

2. დამტკიცდეს „არქეოლოგიის“ დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) მერაბ ხალვაში - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2) მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის მდივანი);
3) ნანა ხახუტაიშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
4) ჯემალ კარალიძე - ბსუ-ს პროფესორი;

5) ნინო ინაიშვილი - ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა-არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

6) გიორგი თავამაიშვილი - ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა-არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

7) ტარიელ ებრალიძე - ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ბიბლიოთეკის გამგე;

8) თამარ შალიკაძე - არქეოლოგიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი;

9) ირაკლი ჩავლეიშვილი - ისტორიის დოქტორი (მოწვეული).

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფესორი მ. კიკვაძე).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში